



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის
დირექტორის

ბრძანება № 01-01/04

ქ. თბილისი

15.01.2024 წ.

**„2024 წელს სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის
ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების შესახებ“
2023 წლის 28 დეკემბრის №01–01/16 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდგომში - „ობსერვატორია“) წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ და „ტ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და ობსერვატორიის დირექტორის მოადგილის, ბ. ჩარგეიშვილის მოხსენებითი ბარათის (№28335, 15.01.2024 წ.) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „2024 წელს სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2023 წლის 28 დეკემბრის №01–01/16 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანებით დადგენილი „2024 წელს ობსერვატორიის

ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების წესის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ობსერვატორია მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს არაუგვიანეს 2024 წლის 31 იანვრისა.“

2. გაეცნოს წინამდებარე ბრძანება დაინტერესებულ პირებს.
3. ბრძანება ძალაშია მისი გამოცემის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

დირექტორი



რევაზ ჭანიშვილი